

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (სმგფ)

სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის (სიდ)
*(საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების
პროგრამის (APL #2) 2-ე კომპონენტის განხორციელება)*

სამოქმედო სახელმძღვანელო

თბილისი,
2007 წლის იანვარი

შენიშვნა

წინამდებარე სამოქმედო სახელმძღვანელო წარმოადგენს საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროგრამის (APL #2) 2-ე კომპონენტის განსახორციელებლად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (სმგფ) მიერ შექმნილ დოკუმენტს. სმგფ წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის №294 ბრძანებულების და შემდგომი შესწორებების საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

სამოქმედო სახელმძღვანელოში აღწერილია სმგფ-ს პროექტის მიზნები და ამოცანები, ზოგადი სტრუქტურა და სამოქმედო პროცედურები. მას დანართის სახით თან ახლავს შესაბამისი სახელმძღვანელოები. სამოქმედო სახელმძღვანელო განვითარებადი დოკუმენტია, რომელიც საჭიროებისამებრ პერიოდულად გადაისინჯება და კორექტირდება სამეთვალყურეო საბჭოსთან და მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით.

სარჩევი

აბრევიატურა	4
ნაწილი ა: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) ამოცანები და სტრუქტურა	5
თავი 1: მგფ-ს ამოცანები	5
1.1 პოლიტიკური და სოციალური საფუძველი	5
1.2 მგფ-ს მიზანი	5
1.3. პროექტის აღწერა	6
1.3.1 პროგრამის მიზნები და ეტაპები	6
1.3.2 პროექტის კომპონენტები	6
1.3.3 ინსტიტუციონალური და განხორციელების სქემა	7
თავი 2: მგფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა	7
2.1 მგფ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა	7
თავი 3: მგფ-ს სამოქმედო მეთოდოლოგია	8
3.1 შესყიდვები	8
3.1.1 ძირითადი პრინციპები	8
3.1.2 სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები	8
3.1.3 საქონლის შესყიდვები	9
3.1.4 საკონსულტაციო მომსახურების შესარჩევი პროცედურები	9
3.1.5 მსოფლიო ბანკის მიერ შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხილვა	10
3.1.5.1 შესყიდვების დაგეგმვა	10
3.1.5.2 წინასწარი განხილვა	10
3.1.5.3 შემდგომი განხილვა	10
3.2 ხელშეკრულების გაფორმება	10
3.3 ზედამხედველობა	11
3.4 ცვლილების მოთხოვნა	14
3.5 პროექტის დასრულება	14
3.6. პროექტის მართვა, მონიტორინგი და შეფასება	15

დანართები:

დანართი 1- მგფ დებულება

დანართი 2- ადმინისტრაციული სახელმძღვანელო

დანართი 3- მართვის საინფორმაციო სისტემის სახელმძღვანელო

დანართი 4- გარემოსდაცვითი ღონისძიებების სახელმძღვანელო

დანართი 5- ფინანსური სახელმძღვანელო

აბრევიატურა

აპს	ადაპტირებადი პროგრამული სესხი
მგფ	მუნიციპალური განვითარების ფონდი
სილ	სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტი
შსა	შესრულებული სამუშაოების ანგარიში

ნაწილი ა: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) ამოცანები და სტრუქტურა

თავი 1: მგფ-ს ამოცანები

1.1. პოლიტიკური და სოციალური საფუძველი

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დახვეწის გზაზე შემდგომი ეტაპია ქვეყნის პრიორიტეტული სფეროების მიმართ სტრატეგიის და ხედვის ჩამოყალიბება. ასეთია: განათლება, ჯანდაცვა, იურისპრუდენცია და ა.შ. ამიტომ დღეს ქვეყანას უწევს საკუთარი, ეროვნული, საზოგადოების თავისებურებებზე დამყარებული დამოკიდებულების და სამოქმედო გეგმის გამომუშავება სახელმწიფოებრივი რეგულირების მრავალ საკითხთან დაკავშირებით.

მთავრობა მუშაობს სიღარიბის დაძლევის გრძელვადიან სტრატეგიაზე, რომლის მიზანია მოსახლეობის კეთილდღეობის გაზრდა.

განათლებას საქართველოში ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც განათლებული მოსახლეობა და კვალიფიციური სამუშაო ძალა უაღრესად მნიშვნელოვანია მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებისა და სოციალური განვითარებისთვის. სკოლების შენობების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გარდა ასევე აუცილებელია განათლების სისტემაში სტრუქტურული რეფორმების გატარება, რათა სისტემამ საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების საჭიროებები და მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

განათლების სისტემაში გასატარებელი რეფორმები ფართო და ძირეული ხასიათისაა და მსოფლიო ბანკი ვალდებულებას იღებს მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს მთავრობასთან 12 წლის განმავლობაში ადაპტირებადი პროგრამული სესხის ფარგლებში ძირეული გარდაქმნების გატარების ხელშეწყობის მიზნით. საქართველოს მთავრობამ სესხის გამოყოფის თაობაზე თხოვნით მიმართა ბანკს ადაპტირებადი პროგრამული სესხის ეტაპის დამტკიცებასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების დაფინანსების მიზნით, რომელიც სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას ითვალისწინებს. ადაპტირებადი პროგრამული სესხის ფარგლებში გაგრძელდება ყურადღების გამახვილება სისტემური ცვლილებების გატარებაზე. სკოლების რეაბილიტაცია და მშენებლობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა იმისთვის, რომ რეფორმების ფარგლებში დაგეგმილი გრძელვადიანი მიზნები იქნას მიღწეული.

1.2. მგფ-ს მიზანი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) მიზანია განვითარების საერთაშორისო ასოციაციის და სხვა ღონისძიებების მიერ დაფინანსებული მიმდინარე მუნიციპალური, სოციალური და საირიგაციო პროექტების კოორდინაცია და განხორციელება.

1.3. პროექტის აღწერა

1.3.1 პროგრამის მიზნები და ეტაპები

მოცემული პროექტი მიმდინარე ადაპტირებადი სამ-ეტაპიანი პროგრამული სესხის მეორე ეტაპის ფარგლებში შემოთავაზებულ პროექტს წარმოადგენს.

ადაპტირებადი პროგრამული სესხის პროგრამა საგანმანათლებლო სისტემის მიზნების ეფექტურ გადასინჯვას და პოლიტიკური და მართვის შესაძლებლობების განვითარებას

ითვალისწინებს. მისი მიზანია სწავლების პროცესის შედეგების ეფექტურობისა და ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლეების უკეთ მომზადება, რათა მათ სათანადოდ შეძლონ საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების პირობებში არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ადაპტირებადი პროგრამული სესხის პროგრამის ფარგლებში მისაღწევია:

I (2001-2007 წ.წ.): შესაბამისი ინსტიტუციონალური ჩარჩოს ჩამოყალიბება განათლების სისტემის მიზნების შემდგომი ეფექტური გარდაქმნისა და რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით;

II (2006-2009 წ.წ.): ახალი ინსტიტუციონალური და პოლიტიკური ჩარჩოს ჩამოყალიბება დაწყებითი და ზოგადი საშუალო განათლების ხარისხისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

III (2009–2013 წ.წ.): ქვეყნის მასშტაბით ცვლილებების დანერგვა, კონსოლიდაციისა და ეფექტურობის საკითხების მოგვარების წამოწყება.

1.3.2 პროექტის კომპონენტები

I კომპონენტი: პედაგოგიური გარემოს გაუმჯობესება.

- *ქვეკომპონენტი 1ა: ეროვნული სასწავლო პროგრამისა და მოსწავლეთა შეფასების სისტემის შემუშავება.*
- *ქვეკომპონენტი 1ბ: მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.*

II კომპონენტი: ფიზიკური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება.

მოცემული კომპონენტის ძირითადი მიზანია შერჩეულ სკოლებში ფიზიკური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, რაც უფრო ეფექტურს გახდის იმ ინვესტიციებისგან მოსალოდნელ სარგებელს, რომლებიც პედაგოგიური სასწავლო გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაზეა მიმართული და ასევე საშუალებას მოგვცემს ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება სკოლების ქსელის ეფექტურობის ამაღლება სკოლის შენობების უფრო თანამედროვე სტანდარტების დანერგვისა და სკოლების კონსოლიდაციის გზით.

მოცემული კომპონენტის განხორციელებისგან მოსალოდნელი შედეგებია: ა. იმ მოსწავლეთა კმაყოფილების, სწავლისა და სწავლების მოტივაციის გაუმჯობესება, რომლებსაც ახლად რეაბილიტირებულ ან აშენებულ სკოლებში მუშაობის საშუალება ეძლევათ; ბ. ბავშვები აღარ ისწავლიან ისეთ სკოლებში, რომლებიც სტრუქტურული მდგომარეობის გამო საფრთხეს წარმოადგენს ან არ არის შესაფერისი სასწავლო პროცესისთვის; გ. მთავრობა სკოლების ქსელის რემონტისა და მოვლა-პატრონობის სტრატეგიას შეიმუშავებს; დ. რეკონსტრუირებული სკოლების ბიუჯეტი დაადასტურებს, რომ ისინი ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი არიან და უფრო მეტი რესურსები გააჩნიათ არასახელფასო და არაკომუნალური ხარჯები გაიღონ, ვიდრე მცირე სკოლებს, რომლებიც არ დაექვემდებარა რეკონსტრუქციას.

მსოფლიო ბანკის კრედიტი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში შერჩეული დაახლოებით 8 სკოლის მშენებლობის, ავეჯით და ტექნიკით აღჭურვის დაფინანსების მიზნით იქნება გამოყენებული.

სკოლის შენობებისთვის ახალი ეროვნული სამშენებლო სტანდარტები განისაზღვრა ახალი სასწავლო პროგრამების საჭიროებების გათვალისწინებით, რაც სკოლების დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში იქნება გამოყენებული. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების თანახმად სკოლების მშენებლობის საჭიროების თვალსაზრისით პრიორიტეტების განსაზღვრა უნდა ითვალისწინებდეს: ა. თუ სკოლას არ გააჩნია შენობა; ბ. ბავშვები ამჟამად ვაგონებში ან სწავლებისთვის შეუფერებელ სხვა შენობა-ნაგებობებში გადიან სწავლებას; გ. საინჟინრო დასკვნის შესაბამისად შენობა სტრუქტურულად უსაფრთხო არ არის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სკოლის

რეაბილიტაციის ღირებულება უნდა აღემატებოდეს, ან ტოლი იყოს სკოლის მშენებლობის ღირებულებისა.

სასკოლო ინფრასტრუქტურის სათანადოდ მოვლა-პატრონობის და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად კომპონენტის ფარგლებში აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დასახულია სკოლების მოვლისა და გარემონტების სტრატეგიის შემუშავება, რისთვისაც შესაბამისი ცვლილებები იქნება შეტანილი ზოგადი განათლების შესახებ კანონში და მარეგულირებელი აქტები იქნება მიღებული. გარდა ამისა, სამინისტროში შემუშავდება სკოლების შენობების, მოწყობილობების და ინვენტარის შეკეთებისა და მოვლის სახელმძღვანელო და სკოლების საბჭოებისა და მოცემული სფეროს მენეჯერების შესაძლებლობების განვითარების მიზნით მოეწყობა სპეციალური სწავლებები სახელმძღვანელოს გამოყენებასთან დაკავშირებით.

1.3.3. ინსტიტუციონალური და განხორციელების სქემა

ადაპტირებადი პროგრამული სესხის პროგრამის II კომპონენტის ფარგლებში განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილე განსაზღვრავს ტექნიკურ კოორდინატორს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სკოლების მშენებლობის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურასთან – მეფ-თან თანამშრომლობაზე. მეფ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტის ხელშეკრულების ფარგლებში, შეთანხმების საფუძველზე შეასრულებს სკოლების მშენებლობის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. მეფ ანგარიშვალდებული იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და მსოფლიო ბანკის წინაშე კრედიტის ფარგლებში გამოყოფილი სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებით.

თაზი 2: მგფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა

2.1. მეფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა

მეფ-ის მმართველობითი ორგანოებია:

- ა. მეფ-ის საქმიანობის კოორდინაციასა და მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
- ბ. მეფ-ის მართავს აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მეფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა:

- ა. აღმასრულებელი დირექტორი;
- ბ. შიდა აუდიტის სამსახური;
- გ. ადმინისტრაციული დეპარტამენტი (შესყიდვების სამმართველო; ფინანსური სამმართველო; მართვის საინფორმაციო სისტემის სამმართველო; უზრუნველყოფის ჯგუფი);
- დ. ინვესტიციების და სესხების დეპარტამენტი (ტექნიკური სამმართველო; პროექტის მართვის, მონიტორინგისა და შეფასების სამმართველო);
- ე. სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტი (სიდ) (ტექნიკური სამმართველო; პროექტის მართვის, მონიტორინგისა და შეფასების სამმართველო);
- ვ. ირიგაციის დეპარტამენტი (სამელიორაციო ასოციაციები; ტექნიკური სამმართველო; პროექტის მართვისა და მონიტორინგის სამმართველო).

თაზი 3: გზ-ს სამოქმედო მეთოდოლოგია

3.1 შესყიდვები

3.1.1 ძირითადი პრინციპები

სამშენებლო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების დაფინანსება და შესყიდვა მსოფლიო ბანკის კრედიტით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ 2004 წელს გამოცემული “რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულების” (შემდგომში “შესყიდვების სახელმძღვანელო”), და 2004 წლის მაისში გამოქვეყნებული “მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ კონსულტანტების შერჩევისა და დაქირავების სახელმძღვანელო დებულების” (შემდგომში “საკონსულტაციო სახელმძღვანელო”) თანახმად.

“რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულების” თანახმად ადგილობრივი უპირატესობის წესები ვრცელდება იმ სამუშაოებზე, რომლებსაც ქართველი კონტრაქტორები ახორციელებენ და იმ საქონლის შესყიდვაზე, რომელიც საქართველოში იწარმოება.

3.1.2 სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები განხორციელდება შემდეგი სახით:

- (ა) საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა (ტენდერი) (ICB): ყველა სამშენებლო სამუშაო, რომლის ღირებულებაც შეადგენს 2,000,000 აშშ დოლარის ექვივალენტის ან მეტს განხორციელდება საერთაშორისო საკონსკურსო ვაჭრობის გზით (ICB).
- (ბ) ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა (ტენდერი) (NCB): ყველა სამშენებლო სამუშაო, რომლის ღირებულებაც შეადგენს 2,000,000 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტზე ნაკლებს განხორციელდება ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის გზით (NCB);
- (გ) ყველა სამშენებლო სამუშაო, რომლის ღირებულებაც თითო კონტრაქტზე შეადგენს 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლებს განხორციელდება ფიქსირებული ფასის კონტრაქტების საფუძველზე. აღნიშნული ტენდერი განხორციელდება წერილობითი მოწვევის საპასუხოდ სამი ადგილობრივი კვალიფიციური კონტრაქტორისგან მიღებული ფასების საფუძველზე. აღნიშნული მოწვევა უნდა შეიცავდეს სამუშაოთა დეტალურ აღწერას, მათ შორის ძირითად სპეციფიკაციებს, დასრულების თარიღს, მსოფლიო ბანკისათვის მისაღებ ხელშეკრულების ძირითად ფორმას და საჭიროებისამებრ სათანადო ნახაზებს. კონტრაქტი გაფორმდება იმ კონტრაქტორთან, რომელიც აღნიშნული სამუშაოებისთვის წარმოადგენს უმდაბლეს ფასს და ექნება სათანადო გამოცდილება და რესურსები კონტრაქტის წარმატებით დასრულებისთვის.
- (დ) პირდაპირი კონტრაქტირება (DC): სამუშაოები, რომლების აკმაყოფილებს “შესყიდვების სახელმძღვანელოს”, 3.6 პარაგრაფის (ა) პუნქტის მოთხოვნებს, IDA-ს წინასწარი თანხმობის საფუძველზე შეიძლება შესყიდულ იქნას, “შესყიდვების სახელმძღვანელოს” 3.1 პუნქტში და 3.6 (ა) - 3.6 (ე) პუნქტის ჩათვლით მითითებული დებულების შესაბამისად.

3.1.3. საქონლის შესყიდვები

- ა) საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა (ტენდერი) (ICB): 300,000 აშშ დოლარის ექვივალენტის ან მეტი ღირებულებით შეფასებული საქონლის შესყიდვა განხორციელდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის გზით (ICB).
- ბ) ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა (ტენდერი) (NCB): 300,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლები ღირებულებით შეფასებული საქონლის შესყიდვა განხორციელდება ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის გზით (NCB).
- გ) შესყიდვა (SH): თითო კონტრაქტი 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლები ღირებულებით შეფასებული საქონლის შესყიდვა განხორციელდება შესყიდვის გზით (SH).
- დ) პირდაპირი კონტრაქტირება (DC): სათადარიგო ნაწილების და განსაკუთრებული ხასიათის ნივთების შესყიდვა, რომელთა მთლიანი ღირებულება შეადგენს 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტს ან ნაკლებს, IDA-ს წინასწარი თანხმობის საფუძველზე, განხორციელდება “შესყიდვების სახელმძღვანელოს” 3.6 პარაგრაფის დებულების შესაბამისად.

3.1.4. საკონსულტაციო მომსახურების შესარჩევი პროცედურები

საკონსულტაციო მომსახურებაზე კონტრაქტები გაფორმდება შერჩევის შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- ა) ქვემოთ მოყვანილი (ბ), (გ) და (დ) შემთხვევების გარდა, ყველა საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა მოხდება “ხარისხზე და ღირებულებაზე დაფუძნებული შერჩევის” (QCBS) პროცედურების მიხედვით.
- ბ) შერჩევა ფიქსირებული ბიუჯეტის საფუძველზე (FBS): აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მარტივი და კონკრეტულად განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის შესასრულებლად, როდესაც ბიუჯეტი ფიქსირებულია. აღნიშნული მეთოდით კონსულტანტის შერჩევა მოხდება IDA-ს წინასწარი თანხმობის საფუძველზე, “საკონსულტაციო სახელმძღვანელოს” 3.5 პარაგრაფის დებულებების შესაბამისად.
- გ) უმდაბლესი ფასით შერჩევის (LCS) პროცედურები გამოყენებული იქნება 150,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლები ღირებულებით შეფასებული აუდიტორული მომსახურებისთვის, “საკონსულტაციო სახელმძღვანელოს” 3.1. და 3.6. პარაგრაფების დებულებების შესაბამისად.
- დ) კონსულტანტების კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევა (CQS) გამოყენებული იქნება საკონსულტაციო მომსახურებისთვის, რომლის სავარაუდო ღირებულება იქნება 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლები, “საკონსულტაციო სახელმძღვანელოს” 3.1. და 3.7. პარაგრაფების დებულებების შესაბამისად.
- ე) საკონსულტაციო დავალება, რომელიც აკმაყოფილებს საკონსულტაციო სახელმძღვანელოს 3.11 პარაგრაფში (ერთ პირთან მოლაპარაკებას) მითითებულ მოთხოვნებს, IDA-ს წინასწარი თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელია შესყიდულ იქნას “საკონსულტაციო სახელმძღვანელოს” 3.1 და 3.9-იდან 3.12-მდე პარაგრაფების დებულებების შესაბამისად.
- ვ) ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის (IC) პროცედურები გამოყენებული იქნება ისეთი საკონსულტაციო მომსახურებისთვის, რომელიც შეესაბამება

“საკონსულტაციო სახელმძღვანელოს” 5.1, 5.2 და 5.3 პარაგრაფების დებულებებში მითითებულ კრიტერიუმებს.

საკონსულტაციო მომსახურების მოკლე სია შეიძლება დაკონმპლექტდეს მხოლოდ ადგილობრივი კონსულტანტებით (ფირმები, რომელთა უმეტესი წილი ადგილობრივ საკუთრებაშია და დარეგისტრირებულია ქვეყანაში) თუ მომსახურების ღირებულება 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლებია და თუ გამოხატა ინტერესი საკმარისი რაოდენობის (მინიმუმ ექვსი) კვალიფიციურმა ფირმამ, რომლებმაც წარმოადგინეს რეალური ფასები და თუ უცხოური კონსულტანტების მონაწილეობა არ არის მიზანშეწონილი. თუმცა, თუ უცხოური ფირმები გამოხატავენ ინტერესს, წარმოდგენილი განაცხადები მაინც უნდა იქნას განხილული.

3.1.5. მსოფლიო ბანკის მიერ შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხილვა

3.1.5.1 შესყიდვების დაგეგმვა

სმგფ მოამზადებს ბანკისთვის მისაღებ შესყიდვების გეგმას. სმგფ-მა უნდა განაახლოს შესყიდვების გეგმა ყოველწლიურად ან საჭიროების შემთხვევაში პროექტის მიმდინარეობის დროს. სმგფ-მა უნდა განახორციელოს შესყიდვების გეგმა მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

3.1.5.2 წინასწარი განხილვა

- ა) სამშენებლო სამუშაოები: ყველა საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის (ICB) კონტრაქტი, პირველი ორი ეროვნული ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის (NCB) კონტრაქტი და ყველა ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის (NCB) კონტრაქტი, რომელთა ღირებულებაც აღემატება 500,000 აშშ დოლარის ექვივალენტს, პირველი ორი შესყიდვის (SH) და ყველა პირდაპირი კონტრაქტირების (DC) კონტრაქტები წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარი განხილვის საგანს;
- ბ) საქონელი: ყველა საერთაშორისო საკონსკურსო ვაჭრობის (ICB) კონტრაქტი, პირველი ორი ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის (NCB) კონტრაქტი და ყველა ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის (NCB) კონტრაქტი, რომელთა ღირებულებაც აღემატება 200,000 აშშ დოლარის ექვივალენტს, პირველი ორი შესყიდვის (SH) და ყველა პირდაპირი კონტრაქტირების (DC) კონტრაქტი წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარი განხილვის საგანს;
- გ) საკონსულტაციო მომსახურება:
 - საკონსულტაციო მომსახურებაზე, რომელთა საორიენტაციო ღირებულებას შეადგენს 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტს ან მეტს, მოთხოვნა წინადადების წარდგენაზე (RFP), ტექნიკური დავალება, ფირმების მოკლე სია, კონტრაქტების ვადები და პირობები, შეფასების ანგარიშები და რეკომენდაციები კონტრაქტის გაფორმებაზე წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარი განხილვის საგანს;
 - ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევისას, მომსახურება რომელთა საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 50.000 აშშ დოლარის ექვივალენტზე მეტს, კვალიფიკაცია, გამოცდილება, ტექნიკური დავალება, კონტრაქტის პირობები, შეფასების წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარი განხილვის საგანს.

3.1.5.3 შემდგომი განხილვა

ბანკის საზედამხედველო მისიების დროს მოხდება ხუთიდან მინიმუმ ერთი შესყიდვების პაკეტის შემოწმება, რომელიც არ წარმოადგენდა წინასწარი განხილვის საგანს.

3.2 ხელშეკრულების გაფორმება

მგფ მოამზადებს კონტრაქტს სამუშაოს შემსრულებელთან/კონტრაქტორთან. მგფ-ს ტექნიკური ზედამხედველისა და იურისტის მიერ შეამოწმებული და ტექნიკური სამმართველოს უფროსისა და სიდ-ის მენეჯერის მიერ რეკომენდებული ხელშეკრულება იდება კონტრაქტორსა და მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს შორის, რის შემდეგ, კონტრაქტორს ნება ეძლევა ოფიციალურად აწარმოოს სამუშაოები პროექტის ფარგლებში.

3.3 ზედამხედველობა

პროექტის ზედამხედველობა განხორციელების პროცესში უნდა მიმდინარეობდეს რეგულარულად, რათა:

- უზრუნველყოფილ იქნას მგფ-ის მიერ გამოყოფილი მიზნობრივი თანხების რაციონალურად, ეფექტურად და ხარისხიანად ხარჯვა;
- შესაძლებელი გახდეს განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გამოვლენა და მათი დროული გადაჭრა;
- ისეთი ინფორმაციის/მონაცემების მოპოვება, რომლის გამოყენებასაც მგფ შესძლებს თავისი პოლიტიკის და მართვის გასაუმჯობესებლად.

ინფრასტრუქტურის პროექტებზე სამუშაოთა ტექნიკურ ზედამხედველობას ჩაატარებს:

- მგფ-ის ტექნიკური სამმართველოს ჯგუფი (ტექნიკური ზედამხედველი);
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს/სკოლის მენეჯმენტის წარმომადგენელი რომელიც ჩაატარებს საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ხარისხის მონიტორინგს და კონტრაქტორის მიერ გაწეული სამუშაოს ზედამხედველობას.

მგფ-ს მიერ გაწეული ზედამხედველობა. მგფ ტექნიკური ზედამხედველი ვალდებულია განახორციელოს პროექტის მიმდინარეობის რეგულარული (ყოველდღიური) ზედამხედველობა. ტექნიკური ზედამხედველი გაუწევს მონიტორინგს და წარმოადგენს ანგარიშებს შემდეგ საკითხებზე:

- პროექტების განხორციელების პროცესის შესახებ;
- პროექტში ან გეგმებში განხორციელებულ ცვლილებებზე და აღნიშნული ცვლილებების გამოძვევ მიზეზებზე;
- გადადგმულ ნაბიჯებზე ან შემოთავაზებებზე, თუ როგორ უნდა მოერგოს კალენდარული გრაფიკი დადგენილ ვადებს და პროექტს, ან როგორ უნდა შეიცვალოს ისე, რომ დააკმაყოფილოს შეცვლილი გარემოება;
- პროექტის ფარგლებში ათვისებული თანხების შესახებ.

მონიტორინგის დროს ტექნიკურ ზედამხედველს ურთიერთობა ექნება კონტრაქტორთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/საჯარო სკოლის დირექციასთან წარმომადგენელთან და საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენელთან. მათთან ერთად განიხილავს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებს.

მონიტორინგები მიზნად ისახავს:

- სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისა და ხარისხის შემოწმებას;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების (შსა) ხელმოწერას კონტრაქტორთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სკოლის მენეჯმენტის

წარმომადგენელთან ერთად; შსა სრულდება მინიმუმ თვეში ერთხელ (დასაბუთების შემთხვევაში ვადა შეიძლება შეიცვალოს);

- კონტრაქტორის წინაშე მდგარი ტექნიკური, მენეჯმენტისა და სხვა პრობლემების განსაზღვრას და მათი გადაჭრის გზების გამოვლენას;
- ქვემოთ მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით თანხმობის მიცემას ცვლილების მოთხოვნებზე;

ტექნიკური ზედამხედველს ობიექტზე გამოიყენებს შემდეგ დოკუმენტებს:

- ძირითადი ხელშეკრულებისა და კონტრაქტის ასლებს;
- სამუშაოების წარმოების ყოველდღიური ანგარიშის ჟურნალს;
- წინა შესრულებული სამუშაოების ანგარიშების ასლებს;
- წინა ანგარიშის ასლს ფოტომასალასთან ერთად.

ტექნიკური ზედამხედველი განიხილავს სამუშაოს ჩამონათვალს კალენდარული გეგმიდან და ადგილზე შეამოწმებს: (1) შეესაბამება თუ არა შესრულებული სამუშაო ტექნიკურ სპეციფიკაციებს, (2) რამდენად ზუსტია კონტრაქტორის ანგარიშები სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ. თუ ანგარიშებში უზუსტობაა დაშვებული, ტექნიკური ზედამხედველი სამუშაოების წარმოების ყოველდღიური ანგარიშის ჟურნალში მიუთითებს მათ შესახებ და აღნიშნულ ინფორმაციას წერილობით მიაწვდის ტექნიკური სამმართველოს უფროსს. თუ ადგილი აქვს მნიშვნელოვან განსხვავებას, ტექნიკურ ზედამხედველს შეუძლია ჩაატაროს შემდგომი შემოწმება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ტექნიკური სამმართველოს უფროსს, რომელიც საკითხს განიხილავს სიდ მენეჯერთან და აღმასრულებელ დირექტორთან ერთად.

ტექნიკური ზედამხედველი მოამზადებს მგფ-ში წარსადგენი ანგარიშისათვის საჭირო ფოტო მასალებს ობიექტის შესახებ. კონტრაქტორი ტექნიკურ ზედამხედველს ობიექტზე ყოფნის დროს წარუდგენს დასამტკიცებლად და ხელმოსაწერად შსა-ს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სკოლის მენეჯმენტის წარმომადგენელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ხელს აწერს შსა-ს, რითიც ადასტურებს, რომ სამუშაოები დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. თუ ტექნიკური ზედამხედველი კმაყოფილია ყველა შესრულებული სამუშაოთი და სამუშაოების წარმოების ყოველდღიური ანგარიშის ჟურნალში ჩაწერილი ინფორმაცია შეესაბამება ობიექტზე რეალურად განხორციელებულ სამუშაოებს, მაშინ ტექნიკური ზედამხედველი ხელს მოაწერს შსა-ს.

ამის შემდეგ, ტექნიკური ზედამხედველი წარუდგენს საგადასახადო დავალებას ტექნიკური სამმართველოს უფროსს, რომელიც შეამოწმებს საგადასახადო დავალებას და გადასცემს მგფ-ს ფინანსურ სამმართველოს. ბუღალტერი შეამოწმებს საგადასახადო დავალებას და სისწორის შემთხვევაში მოამზადებს საგადასახადო დავალებას. თანხმობის შემთხვევაში ფინანსური სამმართველოს უფროსი ხელს მოაწერს საგადასახადო დავალებას და ხელმოსაწერად გადასცემს აღმასრულებელ დირექტორს. გადახდა მოხდება კონტრაქტორის საბანკო ანგარიშზე ფინანსური სამმართველოს მიერ საგადასახადო დავალებას მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

ტექნიკური ზედამხედველი ყოველი თვის ბოლოს მოამზადებს ანგარიშს, სადაც დეტალურად იქნება განხილული შემდეგი საკითხები:

- პროექტის განხორციელების ძირითადი ასპექტები;
- განხორციელებული საქმიანობა;
- წამოჭრილი პრობლემები და სირთულეები;
- დღემდე განხორციელებული საქმიანობა;
- მომავალში განსახორციელებელი საქმიანობა.

საზედამხედველო ანგარიშში ასევე შევა ინფორმაცია ინვესტირებული ხარჯების შესახებ და განახლებული პროექტის განხორციელების კალენდარული გრაფიკი.

საზედამხედველო მონიტორინგი პროექტის ტექნიკური ექსპერტის მონაწილეობით შეიძლება ჩატარდეს ტექნიკური ზედამხედველის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სკოლის მენეჯმენტის ან კონტრაქტორის მოთხოვნის საფუძველზე, პროექტის განხორციელების ანგარიშიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ან განხორციელების პროცესში წარმოქმნილი რაიმე პრობლემის განხილვის და მათი გადაჭრის მიზნით. საზედამხედველო მონიტორინგების შემდეგ, ოფისში დაბრუნებისთანავე პროექტის ტექნიკური ექსპერტის მიერ უნდა მომზადდეს მივლინების ანგარიში. ანგარიშში მითითებულ უნდა იქნას მონიტორინგის მიზეზები, განხორციელებული საქმიანობა საპროექტო ზონაში და ნებისმიერი დამატებითი საქმიანობა, რომელიც განხორციელებულ იქნა პროექტის მიმდინარეობის ხელშეწყობად.

ყველა საზედამხედველო ანგარიშები უნდა მომზადდეს და გადაეცეს ტექნიკური სამმართველოს უფროსს მივლინების დასრულებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში. ტექნიკური სამმართველოს უფროსი სიდ მენეჯერთან ერთად განიხილავს ანგარიშებს, მისცემს ან არ მისცემს თანხმობას შემოთავაზებული საქმიანობების ჩატარებაზე, ხელს მოაწერს და გადასცემს მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს.

საპროექტო ორგანიზაცია საავტორო ზედამხედველობის რეგულარულ ანგარიშებს წარუდგენს მგფ-ს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

პრობლემატური საკითხების კლასიფიკაცია. ზედამხედველობის პროცესში ტექნიკური ზედამხედველი ვალდებულია გამოავლინოს და შეატყობინოს მგფ-ის მენეჯმენტს ისეთი საკითხების არსებობა, რომლებიც კლასიფიცირებულნი იქნებიან როგორც “პრობლემატური საკითხები” და საჭიროებენ გადაუდებელ ყურადღებას. პრობლემატურად შეიძლება ჩაითვალოს საკითხი თუ:

- პროექტის განხორციელება დაგვიანებულია ისე, რომ ეჭვქვეშ აყენებს პროექტის მიზნების მიღწევას;
- პროექტის განხორციელების პროცესში მუდმივად იჩენს თავს კონტრაქტორის მხრიდან ტექნიკური პრობლემები;
- გარე ფაქტორებმა იმოქმედა პროექტის განხორციელების პროცესზე და საფრთხე შეუქმნა მის სიცოცხლისუნარიანობას.

საკითხი მიჩნეულია არაპრობლემატურად იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელების პროცესში არ დაფიქსირდება რაიმე მნიშვნელოვანი სირთულე. პრობლემატური საკითხები ყურადღებით უნდა იქნას განხილული ტექნიკური ზედამხედველის და ტექნიკური სამმართველოს უფროსის მიერ, რათა მიღებულ იქნას სათანადო ზომები პროექტის პრობლემის აღმოსაფხვრელად.

3.4 ცვლილების მოთხოვნა

სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა საწყის კონტრაქტში. თუ კონტრაქტორს ესაჭიროება ცვლილების გატარება, იგი წერილობითი ფორმით მოამზადებს მოთხოვნას ცვლილებების შესახებ და თანხმობის მისაღებად გადასცემს ტექნიკურ ზედამხედველს, პროექტის ავტორს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს/სკოლის მენეჯმენტს. რომ არ შეფერხდეს სამშენებლო სამუშაოების ტემპი, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების მოთხოვნა კონტრაქტის ღირებულებას ზრდის 5 %-მდე, ტექნიკური ზედამხედველი განიხილავს აღნიშნულ მოთხოვნას ადგილზე, მოამზადება რეკომენდაციას და წარუდგენს ტექნიკური სამმართველოს უფროსს განახილველად. მოთხოვნა შემდეგ გადაეცემა სიდ მენეჯერს და აღმასრულებელ დირექტორს თანხმობის მისაღებად. ცვლილების მოთხოვნა, რომელიც კონტრაქტის საწყის ღირებულებას

5%-ზე მეტად ზრდის, თანხმობის მისაღებად უნდა გაეგზავნოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მსოფლიო ბანკს.

3.5 პროექტის დასრულება

პროექტის დასრულების ეტაპი მოიცავს სამუშაოთა დასრულების შესახებ დასტურის, საბოლოო გადახდის და პროექტის დასრულების ანგარიშის მომზადებას. პროექტის დასრულების ანგარიში, რომელიც უნდა მომზადდეს მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, შეაფასებს კონტრაქტორის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, პროექტის მიმდინარეობის ვადებს და ხარჯებს.

წინასწარი მიღება-ჩაბარების და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაცემა. სამშენებლო საქმიანობის დასრულების შემდეგ, დასრულების და წინასწარი მიღება-ჩაბარების შეხვედრა მოეწეობა თითოეულ ობიექტზე. ჩამოყალიბდება მიღება-ჩაბარების კომისია, რომელშიც შევა:

- ტექნიკური ზედამხედველი;
- სკოლის მენეჯმენტის წარმომადგენელი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი;
- კონტრაქტორის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საპროექტო ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

მიღება-ჩაბარების კომისიის წევრები შეიკრიბებიან ობიექტზე, შეამოწმებენ შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხს და გამოიტანენ გადაწყვეტილებას სამუშაოების დამაკმაყოფილებლად შესრულების თაობაზე. წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ორ შემთხვევას:

- თუ მიღება-ჩაბარების კომისია გადაწყვეტს, რომ სამუშაოები დასრულებულია, ხარისხი დამაკმაყოფილებელი და პასუხობს კონტრაქტის პირობებს, წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტს ხელი მოეწერება ყოველგვარი შენიშვნების გარეშე. წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან იწყება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი.
- თუ მიღება-ჩაბარების კომისია მიიჩნევს, რომ ზოგიერთი სამუშაო საჭიროებს დასრულებას ან შესწორებას, სამუშაოს შემსრულებელს გადაეცემა წერილობითი სახის რეკომენდაციები და დაინიშნება შემდგომი წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი.

წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდეგ ტექნიკური ზედამხედველი წარუდგენს მგფ-ს გადახდის საბოლოო მოთხოვნას, რის საფუძველზეც მსვლელობა მიეცემა გადახდის პროცედურას შესაბამისი წესების დაცვით.

დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი წარმოადგენს დროს სამუშაოთა დასრულების წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტის გაცემის დღიდან სამშენებლო კონტრაქტში მითითებულ პერიოდს შორის. დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი დამოკიდებულია პროექტის სიდიდეზე, ტიპოლოგიაზე და სამშენებლო კონტრაქტში მითითებულ განხორციელების პერიოდზე (არა ნაკლებ 6 თვისა). თუ დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდში არ გამოვლინდა შესრულებული სამუშაოების წუნი, დაკავებული თანხა შეიძლება გადაეხადოს კონტრაქტორს დეფექტებზე პასუხისმგებლობის მიღება-ჩაბარების აქტის გაცემისას. ამ შემთხვევაში, კონტრაქტორი მგფ-საგან მიიღებს მიღება-ჩაბარების აქტს კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმატებით დასრულებისა და ხარისხის ვარგისიანობის შესახებ.

საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაცემით მთავრდება პროექტის განხორციელების პროცესი. ამ მომენტიდან პასუხისმგებლობა ინვესტირებული ობიექტის მუშაობაზე,

ექსპლუატაციაზე, სარემონტო ხარჯებზე, გადადის ადგილობრივ ხელისუფლებაზე და ადგილობრივი ორგანიზაციებზე.

ანგარიში პროექტის დასრულების შესახებ. საბოლოო მიღება-ჩაბარების და პროექტის წარმატებულად განხორციელების შემდეგ ტექნიკური სამმართველო ამზადებს ანგარიშს პროექტის დასრულების შესახებ, რომელსაც სამმართველოს უფროსთან ერთად ხელს აწერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/საჯარო სკოლის დირექცია. საპროექტო ორგანიზაციამ ასევე უნდა წარმოადგინოს ანგარიში, სადაც დაადასტურებს, რომ დასრულებული სამუშაოები განხორციელდა მის მიერ მომზადებული პროექტის შესაბამისად.

3.6. პროექტის მართვა, მონიტორინგი და შეფასება

პროექტის მართვის, მონიტორინგისა და შეფასების სამმართველო უხელმძღვანელებს და პასუხისმგებელი იქნება პროექტების განხორციელების ასპექტებზე. პროექტების მართვის გუნდი ადგენს და ზედამხედველობს პროექტების მონიტორინგის და შეფასების გეგმას; პროექტთან მიმართებაში ამყარებს ურთიერთობებს შესაბამის რესურს ცენტრებთან, სკოლის მენეჯმენტთან, კერძო სექტორთან და სამთავრობო სტრუქტურებთან; კოორდინირებას გაუწევს პროექტებთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ მოთხოვნებებს, უზრუნველყოფს მონიტორინგს და სათანადო ანგარიშგებას; მნიშვნელოვანი ეტაპობრივი შეფასებების სახით, ამზადებს მიმდინარე და ფინანსურ ანგარიშებს; აჯამებს პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციას, რომელსაც მოიპოვებს შესაბამისი მონაცემების შეგროვებით და ანალიზით, უზრუნველყოფს პროექტების შეფასებას, ზედამხედველობის და ადმინისტრირებას; ინფორმაციული სისტემების სამმართველოსთან შეთანხმებით განავითარებს მონაცემთა ბაზის ინტეგრირებულ სისტემებს.

მართვის საინფორმაციო სისტემა. მგფ-ის საქმიანობის მონიტორინგი განხორციელდება კომპიუტერიზებული მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.

მართვის საინფორმაციო სისტემა მონიტორინგს გაუწევს პროექტის ციკლს და მგფ-ის მიერ განხორციელებულ საქმიანობას პროგრამის მიზნებთან მიმართებაში. მართვის საინფორმაციო სისტემის კომპონენტებია:

- ა. პროექტების მონაცემთა ბაზა, რომელიც საშუალებას მისცემს მგფ-ის მენეჯმენტს და თანამშრომლებს თვალყური ადევნონ პროექტის განხორციელებას პროექტის ციკლის ყველა ეტაპზე;
- ბ. ბიუჯეტის და ზედამხედველობის კონტროლის სისტემა, რომელიც გააადვილებს პროექტის ბიუჯეტის, ხარჯების მიმოქცევის და ობიექტის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებას;
- გ. ფინანსური და საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც სხვა სისტემებს მიეწოდებათ საჭირო ინფორმაცია, რათა ნათლად ჩანდეს ობიექტის სრული ფინანსური მონაცემები და მიზნობრიობასთან ხარჯების შეფარდება.